გლობალიზაცია და ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში

თეონა ბაქანიძე
სტუ-ს ასისტენტ-პროფესორი

უილიამ (ბილ) გეიტსი წერს: "XXI საუკუნეში ორი ბიზნეს მიმართულება განვითარდება, ერთი რომელიც იქნება ინტერნეტში, ხოლო მეორე, რომელიც ბიზნესი არ არის!". რას ნიშნავს ეს? რისშესაძლბლობას გვთავაზობს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები იმისათვის რომ XXI საუკუნის ბიზნესმენი იყოს წარმატებული ბიზნესმენი, ხოლო მისი საქმიანობა კი რენტაბელური?

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩვენს პლანეტაზე საზოგადოებრივი განვითარება მიმდინარეობს ურთულესი, ერთიანი პროცესის ფარგლებში, რომელიც გლობალიზაციის სახელითაა ცნობილი. ტერმინ " გლობალიზაციის" უამრავი განმარტება არსებობს, თუმცა, ჩემი აზრით, ყველაზე სრულყოფილია შემდეგი: გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და ასახავს ცვლილებებს საზოგადოებასა და მსოფლიო ეკონომიკაში, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობისა და კულტურული გაცვლის ზრდით.

დღესდღეობით "გლობალიზაცია", როგორც მოვლენა, ასოცირდება ინდუსტრიული დასავლეთის- ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების იდეოლოგიის, ფასეულობებისა და ღირებულებების გადაღვრით დანარჩენ მსოფლიოზე, ძირითადად, მესამე სამყაროს ქვეყნებში.

გლობალიზაციის ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულობასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას. ინფორმაციის მოპოვების ყველაზე დიდ წყაროს წარმოადგენს ინტერნეტი, რომელიც დაუჯერებელი რაოდენობის საიტებს გვთავაზობს ბიზნეს-ინფორმაციის მოსაპოვებლად.

ნებისმიერი ბიზნესისათვის ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს. წარმოების ეფექტური მართვისათვის ინფორმაცია ყოველთვის იყო და არის აუცილებელი როგორც პროდუქტი (საქონელი) და როგორც რესურსი. ბიზნეს ინფორმაციის კლასიფიცირება შეიძლება მოვახდინოთ : 1. წარმოქმნის ადგილის მიხედვით – ფირმის შიგნით თუ მის გარეთ და 2. დანიშნულების მიხედვით. თუ ინფორმაციის წყარო ფირმის შიგნითაა, მას შიდა ინფორმაციას უწოდებენ, ხოლო თუ მის გარეთ – გარე ინფორმაციას.

ინფორმაციული ტექნოლოგია („information Technology") – ეს არის ინფორმაციის შეგროვების, გადაცემის, შენახვის, მოძებნის, დამუშავების და გამოყენების ტექნიკური და პროგრამული საშუალებების და მეთოდების ერთობლიობა, რომლის დროსაც მონაცემთა ბაზებზე ტექნოლოგიური ოპერაციების თანამიმდევრობით შესრულების შედეგად მიიღება პროდუქტიული ინფორმაცია.

ეკონომიკისა და მართვის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგია გვეხმარება და იძლევა საშუალებას ცალკეული მონაცემები გადავამუშაოთ სარწმუნო და ოპერატიულ ინფორმაციაში, რომლის საფუძველზეც მივიღებთ ისეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საფუძველი იქნება მართვის ობიექტის საბაზრო ოპტიმალური პარამეტრების მიღებისა.

ინფორმაციული ტექნოლოგია პრაქტიკულად შეიძლება რეალიზებული იქნეს როგორც ტრადიციული არაავტომატიზებული, ასევე ავტომატიზებულ სახით.

ავტომატიზებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კომპიუტერული ტექნიკა, სწორედ ამიტომ ტერმინის "ინფორმაციული ტექნოლოგიებიაში", განსაკუთრებით კი "ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების" ქვეშ, იგულისხმება კომპიუტერული ინფორმაციული ტექნოლოგიები.

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგია არის ინფორმაციული ტექნოლოგია, რომელიც თავისთავად გულისხმობს პერსონალური კომპიუტერების და ტელეკომუნიკაციური საშუალებების გამოყენებას დაშორებულ ბაზებთან და პროგრამებთან ურთიერთქმედებისთვის სამომხმარებლო ინტერფეისის პირობებში.

ნებისმიერი საოპერაციო სისტემის ფუძეს წარმოადგენს კერნელი, სოფტვეას პირველი შრე, რომელიც კომპიუტერის მეხსიერებაში იტვირთება სისტემის ჩართვის მომენტში. კერნელი შემდეგ აძლევს გასაღებს სხვადასხვა ძირეულ სერვისებს ყველა დანარჩენ სისტემებსა და სამომხმარებლო პროგრამულ პაკეტებთან. საოპერაციო სისტემა ჩაიტვირტება კომპიუტერის ჩართვის დროს ის მომხმარებელს აძლევს მოხერხებულ ინტერფეისს. ინტერფეისი შეიძლება იყოს პროგრამული და სამომხმარებლო. სამომხმარებლო ინტერფეისი- ეს კომპიუტერთან ან პროგრამას თან მომხმარებლის ურთიერთქმედების პროგრამული და აპარატული საშუალებებია.

თავის მხრივ სამომხმარებლიო ინტერფეისი შეიძლება იყოს საკომანდო და ობიექტურად ორიენტირებული. საკომანდო ინტერფეისი გულისხმობს მომხმარებლის მიერ კლავიატურიდან ბრძანებების შეყვანას კომპიუტერის რესურსების მართვისათვის მოქმედებების შესრულებისას.

ობიექტურად ორიენტირებული ინტერფეისი -ეს გამოთვლითი სისტემის რესურსების მართვა ობიექტებზე ოპერაციების განხორციელების გზით ობიექტებს კი თავის მხრივ წარმოადგენენ ფაილები, კატალოგები (საქაღალდეები), დისკმატარები, პროგრამები, დოკუმენტები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას იძლევა რადიკალურად შეიცვალოს იერარქიული, ცენტრალიზებული მართვის სტილი და თვით ბიზნესპროცესები, მნიშვნელოვნად შეცვალოს კომპანიის საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები. ბიზნესის მართვის წესები სწრაფად ძველდება. კომპანიები, რომლებიც ვერ ხედავენ ამ ცვლილებების მნიშვნელოვნებას, გაკოტრების და ბაზრიდან „გაქრობის" რისკის წინაშე დგანან. თანამედროვე ბიზნეს გარემო დღეს იცვლება და ის მართვის ტრადიციული სტილი, რომელიც ხასიათდება ხისტი სტრუქტურირებით, ცენტრალიზებით, ლოკალურობით საწინააღმდეგო დამახასიათებელი პრინციპებით გარდაიქმნება მოქნილი სტრუქტურებით, ოპტიმალური დეცენტრალიზაციით, გლობალიზაციით, გამჭვირვალეობით.

საქმიანი ადამიანების სამყაროში დღითი დღე პოპულარობას იძენს და მზარდი მოთხოვნით ხასიათდება ინტერნეტი, ქსელი, რომელიც ოდესღაც მხოლოდ კვლევით და სასწავლო ჯგუფებს ემსახურებოდა, რომელთა ინტერესები სუპერკომპიუტერებში შეღწევის ჩათვლით მრავალ სხვა ინტერესებსაც მოიცავდა.

დღეს ინტერნეტქსელი, არა მარტო ყველაზე მასშტაბური და იაფი ინფორმაციული რესურსია, არამედ იგი გვთავაზობს სხვადასხვა საქმიანობის მართვის ფორმათა რეალიზაციებს, მულტიფუნქციურ დამუშავების შესაძლებლობას გლობალური სისტემის ფარგლებში, რაც დროის და მატერიალური ხარჯის ეკონომიას უწყობს ხელს.

კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება, ბიზნესპრაქტიკიდან გამომდინარე საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიან ინფრასტრუქტურის (რეკლამა, პიარი, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად კი მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე.

კომპანიებისთვის დღითიდღე მიმზიდველი ხდება ინტერნეტი როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტური საშუალება. ისინი ქმნიან საკუთარ ვებ გვერდს, ინტერნეტშივე მართავენ აქციებს, კონკურსებს, აქვთ წარმომადგენლობა სხვადასხვა სოციალურ ქსელში, ურთიერთობენ მომხმარებლებთან.

ამრიგად, ისეთი განვითარებადი სფერო არაფერია, როგორიც ინტერნეტბიზნესია. იქმნება და იხვეწება პროგრამები, იზრდება შესაძლებლობები. ის, რაც შარშან სირთულეს და გარკვეულ პროგრამულ ცოდნას მოითხოვდა, დღეს უკვე საგრძნობლად გამარტივებულია. ამიტომ ინტერნეტში არ არსებობს თეორიები, რომელთა გამოყენებაც მომავალ ან რამოდენიმე წლის შემდეგ ეფექტური და ღირებული იქნება.

ინტერნეტსივრცის ასეთი სწრაფი განვითარება, შესაძლებლობების უსაზღვრო და მრავალფუნქციური ზრდა საშუალებას გვაძლევს დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტი არის მესამე ათასწლეულის განვითარებადი ბიზნესი და ვინც ამ სფეროს შესწავლას დაიწყებს დღეს, ის ადვილად შეძლებს ფეხდაფეხ მისდიოს თანამედროვე სამყაროს და ადვილად დაიმკვიდროს თავი მზარდ ბიზნესში.

დღეისთვის საქართველო ელექტრონული მმართველობის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან ეტაპს გადის. სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ იქმნება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული არაერთი მომსახურება და ამით მარტივდება და ახალ ეტაპზე გადადის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობა. ეს პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ც. ჯაფიაშვილი, მ. ტიკიშვილი, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში„. თბ., 2010.
2. ეკონომიკური ინფორმატიკა (ავტორთა კოლექტივი) პროფ. მ. მაღრაძის რედაქციით. თსუ, თბ., 2008.
3. McNurlin Barbara, Sprague Ralph. Information systems management in practice. New Jersey, 2002.
4. http://ekobizit.economics.tsu.ge/biznesiARCEVITS.pdf

GLOBALIZATION AND INFORMATION TECHNOLOGIES IN BUSINESS

TEONA BAKANIDZE
assist-prof. of GTU

The article discusses the concept and meaning of globalization as our planet`s most difficult social development and unified process. This process is spread by the imitation of traditions and values of the United states and leading European countries in the rest of the world - particularly in third world countries.

Here is clearly presented how important is the development of information technology in the area of globalization. There is also discussed the effect of the use of information technology on business . How information technology can radically changing the hierarchical, centralized management style, and even the business – processes.